ქ. ბათუმი 15.02.2024

ბრძანება №24-07/06

ბსუ-ს იურიდიული და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე USAID-ს სამართლის უზენაესობის პროგრამის მხარდაჭერით მოქმედი პროექტის "აჭარის რეგიონში პრაქტიკული სამართლის და კონსტიტუციური მართლმსაჯულების სწავლების ხელშეწყობა" ფარგლებში მოქმედ „პრაქტიკული სამართლის (Street Law) კლინიკაში“ და „კონსტიტუციური მართლმსაჯულების (ადამიანის უფლებების მიმართულებით) კლინიკური სწავლების“ მიმართულებით
სამართალმცოდნეობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტთა შესარჩევად კონკურსის გამოცხადების, საკონკურსო კომისიის შექმნისა და კონკურსის ორგანიზებულად წარმართვის შესახებ

,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 29-ე მუხლის 3 ნაწილის ,,ე" პუნქტის, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების 22 მუხლის მე-4 ნაწილის ,,ე" პუნქტის, იურიდიული ფაკულტეტის დებულების მე-14 მუხლის მე-9 პუნქტის, საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გამოცხადდეს კონკურსი ბსუ-ს იურიდიული და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სამართალმცოდნეობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მეოთხე სასწავლო წლის სტუდენტებისათვის, USAID-ს სამართლის უზენაესობის პროგრამის მხარდაჭერით მოქმედი პროექტის "აჭარის რეგიონში პრაქტიკული სამართლის და კონსტიტუციური მართლმსაჯულების სწავლების ხელშეწყობა" ფარგლებში მოქმედ „პრაქტიკული სამართლის(Street Law) კლინიკაში“(8 სტუდენტი) და „კონსტიტუციური მართლმსაჯულების (ადამიანის უფლებების მიმართულებით) კლინიკური სწავლების“ (9 სტუდენტი) მიმართულებით სამართალმცოდნეობის საბაკალავრო საგანმანათლებლო სტუდენტთა ჩარიცხვის მიზნით.
2. საკონკურსო კომისია განისაზღვროს შემდეგი შემადგენლობით: ასისტენტი ლინდა შალამბერიძე, კლინიკის კოორდინატორი ნარგიზ ცეცხლაძე, მოწვეული პედაგოგი ნიკოლოზ მეგრელიშვილი, მოწვეული პედაგოგი ცირა კომახიძე, მოწვეული მასწავლებელი ზურა კვირკვაია.
3. კონკურსში მონაწილეობის მიზნით კონკურსანტებმა 2023 წლის 19 თებერვლიდან 29 თებერვლის ჩათვლით, იურიდიული და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ელექტრონულ ფოსტაზე (info.lscf@bsu.edu.ge) და მატერიალური სახით დეკანის ოფისში (კაბ. 518) დილის 10:00 საათიდან 17:00 საათამდე უნდა წარმოადგინონ შემდეგი დოკუმენტაცია:

ა) სტუდენტის განცხადება კონკურსში მონაწილეობის შესახებ (დანართი 1-ის შესაბამისად);

ბ) ცნობა სტუდენტის სტატუსის შესახებ;

გ) სტუდენტის პირადობის მოწმობის ასლი;

დ) სამოტივაციო წერილი.

4. კონკურსი ჩატარდეს 2023 წლის 1 მარტიდან 3 მარტის ჩათვლით.
5. ინფორმაცია კონკურსის შედეგების შესახებ პროგრამის კოორდინატორების მიერ ფაკულტეტის დეკანის ოფისში წარმოდგენილ იქნეს არაუგვიანეს 3 მარტისა, ხოლო კონკურსი შედეგები გამოცხადდეს არაუგვიანეს 4 მარტისა.
6. ბრძანება საჯარო გაცნობის მიზნით, გამოკრულ იქნას ფაკულტეტის საინფორმაციო დაფაზე.
7. კონკურსის ჩატარების და კომისიის მუშაობის კოორდინაცია დაევალოს დეკანის მოადგილეს სალომე კარალიძეს.

დეკანი, პროფესორი **ლევან ჯაყელი**